სოციალური პროექტი: „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“.

სოციალური პროექტის გეგმა

სოციალური თემის ავტორი	
პროექტის ხელმძღვანელი	ლუსინე კალჩიან
რაიონი	წალკა
სკოლა	სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშბაშის საჯარო სკოლა
სოფელი	დაშბაში
პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობა	მოსწავლეები მოიძიებენ ინტერნეტში , ბავშვთა დაცვის უფლებებზე კანონებს, ინფორმაციას სხვა აქტუალურ საკითხებს ამ თემასთან დაკავშირებით და შეარჩევენ ღონისძიებისათვის შესაფერის საკითხებს.
პროექტის სახელწოდება:	„ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“
საგანი	ბუნება,მუსიკა, ხელოვნება
დონე/კლასი	დაწყებითი საფეხური
განხორციელების დროის ჩარჩო	22.05.2023წ.-01.06.2023 წ.
თემის საფუძვლები	
შინაარსობრივი სტანდარტები და ინდიკატორები	ბავშვებისთვის თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა, ბავშვის უფლებების დაცვა; მონაწილეობა მიიღოს შერჩეულ ღონისძიებაში სხვებთან ერთად; ბუნ. II. 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციის ადეკვატური სამეტყველო ქცევის უნარის გამოვლენა; ს.გ.II.6. მოსწავლეს შეუძლია სახვითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა; მოსწავლეებს შეუძლიათ ლექსების წაკითხვა და სიმღერა.
თემის მიზანი	მოსწავლეები მოისმენენ ინფორმაციას ბავშვთა საერთაშორისო დღის დაარსებაზე, მათ უფლებებზე და ასევე ჯამრთელობისა და დემოკრატიულ განვითარებაზე. ბავშვები აიმაღლებენ ცნობიერებას ხელოვნების

	მიმართულებით შემოქმედითი მიმართულებებით და ასევე აიმაღლებენ პრეზენტაცისთვის შესაბამის უნარებს რითაც შეძლებენ შემოქმედებითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.
მოსწავლეების ამოცანები/სწავლის შედეგები	*სასკოლო ზეიმი დადებითად იმოქმედებს მოსწავლეთა განწყობაზე და მოსწავლეებს შეექმნებათ მოტივაცია. მიიღებენ ინფორმაციას ბავშვთა საერთაშორისო დღის დაარსებაზე, დახატავენ ასვალტზე, გადაიღებენ სურათებს.* *მოსწავლეს შეუძლია სახვითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა;*
პროექტის პროგრამა:	მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. 2.სკოლის დირექტორის მილოცვა მოსწავლეებისადმი. 3. ასვალტზე ხატვა. 4. მოსწავლეები წარმოადგენენ მომზადებულ პრეზენტაციას. 5.საზეიმოდ აღვნიშნეთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
პროექტის მსვლელობა:	სკოლის ეზოში შეკრებილი მოსწავლეები კლასების მიხედვით დაიყვნენ და ასფალტზე დაიწყეს ხატვა, რის შემდეგაც დამსწრე სტუმრებს წარუდგინეს პრეზენტაცია, ასევე დახატული ნახატები და პლაკატები. დავწერე პროექტის რეფლექსია;

მონიტორინგი და შეფასება:	მასწავლებელი შეამოწმებს მოსწავლის მიერ მოძიებულ ინფორმაციას, დაახარისხებს ასაკთან მიმართებით და გასცემს ინსტრუქციას საქმიანობის შემდეგი წარმართვისთვის. პროექტის ბოლოს მასწავლებელი აფასებს პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს.
რესურსი	ფორმატი, მარკერი, საღებავები, ბუშტები, ფერადი ფანქრები და ცარცები,პროექტორი, კომპიუტერი. 

მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი

ხალისით ვმუშაობდი პროექტზე?	დიახ	არა
საინტერესო იყო პროექტზე მუშაობა?	დიახ	არა
ვთანამშრომლობდი ჯგუფის ყველა წევრთან?	დიახ	არა
შევძელი ჩემს მიერ მოძიებული ინფორმაციის წარდგენა?	დიახ	არა
რომელი ეტაპი უფრო საინტერესო იყო?	პროექტზე მუშაობის პროცესი	ასვალტზე ხატვა
ვიმუშავებ კიდევ ახალ პროექტზე?	დიახ	არა

რეფლექსია

2022-2023 სასწავლო წლის **22.05.2023-01.06.2023** პერიოდში დაწყებითი საფეხურში ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელდა სოციალური პროექტი „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“.

პროექტებით სწავლა ეფექტური და მნიშვნელოვანია რადგან საგანმანათლებლო პროცესი საინტერესოა **ასევე** პრობლემების გადაჭრისა და ინიციატივების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა. პროექტი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააერთიანონ წინარე ცოდნა, შეიძინონ ახლები და გამოავლინონ საკუთარი უნარები. პროექტი მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ისაუბრეს ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე. მუშაობის დროს მოსწავლეები გაეცნენ ბავშვთა უფლებებს. ამ პროექტმა გამოავლინა მოსწავლეთა ინტერესი და მათი უნარები (მსჯელობა, თანამშრომლობა, კრეატიულობა). მათ გაიღრმავეს ცოდნა ბუნების, ხელოვნების, მუსიკის შესახებ. გადაიღეს ფოტოები,მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაცია. ვფიქრობ ამ სოციალური პროექტით დასახული ყველა მიზანი შესრულდა. რაც მთავარია, ჩვენს ბავშვებს გავუჩინეთ შეგრძნება, რომ ყველა ბავშვი თანასწორია, მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ და ყველა ვალდებულია ეს უფლებები დაიცვას. საჭიროებისამებრ, მოსწავლეებს სათანადო დახმარება აღმოეჩინოს. შევეცდები მომავალში ბევრი ასეთი პროექტის განხორციელებას.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
1 ივნისი


1 ივნისი
ბავშვთა
დაცვის
საერთაშორისო
დღე

გილოცავთ!
ბავშვთა
დაცვის
საერთაშორისო
დღეს